ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№10(102)
ოქტომბერი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ეროვნებათა – სახალხო ზეიმი წეროვანში

დავით ახლოურმა ლიტერატურულ კონკურსში პირველი პრემია მოიპოვა

პოეტისა და ისტორიკოსის დავით ახლოურის მიღწევები სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსსა თუ სამეცნიერო კონფერენციაზე თითქოს ჩვეული გახდა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის, თუმცა, ყოველი ახალი ჯილდო გულწრფელად გვახარებს ახალგორელებს. ამჯერად მისი ნიჭიერება ლიტერატურულ კონკურსში დაფასდა, რომელიც ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული პოეზიის სახალხო დღესასწაულის — „შოთაობა-2022"-ის ფარგლებში გაიმართა.

dasasruli me-6 gverdze

ირაკლი ღარიბაშვილი: `წლის ბოლომდე ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას ველოდებით"

31 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გასული 9 თვის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შესახებ ისაუბრა.

„9 თვის განმავლობაში საქართველოში არის 10,2% ეკონომიკური ზრდა, ეს არის უპრეცედენტო მთელ ევროპაში", – განაცხადა მთავრობის მეთაურმა და აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე არის მოლოდინი, ქვეყანას ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ჰქონდეს.

„მე მინდა შევეხო ეკონომიკურ ზრდას. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და დაძაბულობის ფონზე, ჩვენ ვინარჩუნებთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში. 9 თვის განმავლობაში საქართველოში არის 10,2% ეკონომიკური ზრდა. ეს არის უპრეცედენტო მთელ ევროპაში. ასევე მინდა ვთქვა, რომ გაზრდილია ექსპორტი 40%-ით და 9 თვეში ზრდამ 37,4% შეადგინა. ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმის აღდგენა მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. თუ ჩვენ შევადარებთ 2019 წელს, წელს უკვე 97,5%-ით არის აღდგენილი ტურიზმი. აქედან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2,5 მილიარდი აშშ დოლარი.

არ მინდა წინასწარ პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ წლის ბოლომდე ჩვენი მოლოდინი არის, რომ ჩვენ შევინარჩუნებთ ასეთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას და წლის ბოლოს ველოდებით ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„საქართველოს, რა თქმა უნდა, გააჩნია საკმაოდ დიდი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდრორესურსები, ამიტომ

dasasruli me-6 gverdze

გაანისილეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები 2

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის პრიორიტეტები გამოაქვეყნა 5

35 წელი ბავშვებთან 8

სემინარი „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, საქართველოს ევროპული პერსპექტივისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული შედეგების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

სემინარის 35 მონაწილესთან საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ხამაშურიძემ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობაზე, წევრობის განაცხადზე, შევსებულ კითხვარზე, ევროკომისიის რეკომენდაციებსა და ევროპულ პერსპექტივაზე გაამახვილა ყურადღება.

საუბარი, ასევე, შეეხო ასოცირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობას.

შეხვედრას მოდერაცია გაუწია საინფორმაციო ცენტრის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ყარამან ბერიძემ. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ცენტრის საქმიანობასა და რეგიონში მიმდინარე პროექტებზე.

სემინარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, მოადგილე გელა შერმადინი და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი.

განიხილეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ და ზრუნვის სააგენტოს რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელმა ლალი უნდილაშვილმა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

საუბრის მთავარი თემა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით არსებულ სახელმწიფო პროგრამებს შეეხებოდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, ასევე, გამგეობის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, შესაბამისი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა დეტალურად განიხილეს ის ქვეპროგრამები, რომლებიც გულისხმობს ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერას, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ამასთან, სააგენტოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოსახლეობის სწორი ინფორმირება არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამისათვის კი, მხარეებს შორის აქტიური და კოორდინირებული მუშაობაა საჭირო.

თავის მხრივ კი, შეხვედრის მონაწილეებმა - შესაბამისი სამსახურების, ა(ა)იპ-ებისა და გამგეობის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში, მჭიდრო თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ თემის შესახებ ადგილობრივებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით ინტენსიურად იმუშავებენ.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

ქსნისსეოზელთა მფარველი წმინდანები – შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

სახალხო ზეიმი წეროვნის დევნილთა დასახლებაში

ოდითგან ურიცხვი მტერი ჰყავდა საქართველოს. ვინ არ ხვრეპდა ქართულ სისხლსა და ვინ აღარ ჟლეტდა ქართულ ჯიშსა და მოდგმას... თემურ-ლენგი თუ შაჰ-აბასი, თურქი თუ ლეკი, სპარსი თუ რუსი...

უხსოვარი დროიდან ებრძოდა მტარვალ მტერს ქართველი, უხსოვარი დროიდან მოყოლებული ილექება ჩვენს ხსოვნაში მათი გმირული თავგანწირვა საფიცარი სამშობლოსადმი, ხსოვნის დღეები კი სახალხო ზეიმებად გადაეცემა შთამომავლობას და მკვიდრდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ქსნის ხეობა სამი დიდი წმინდანის მშობელია – ქეთევან დედოფლის და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების.

ქართველი დიდგვაროვნები ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები მოწამეობრივად 1661 წელს აღესრულნენ.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კახეთი ააოხრა. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და ქსნის ერისთავებმა გადაწყვიტეს მტრის წინააღმდეგ ებრძოლათ. აჯანყებულები ფარულად ბახტრიონის ციხეში დაბანაკებულ მტერს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე თავს დაესხნენ და გაანადგურეს ისინი. არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა თავს გაქცევით უშველა.

განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, შაჰნავაზად წოდებულ ვახტანგს, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარისა და შალვა ქსნის ერისთავების მასთან გაგზავნა მოსთხოვა. შაჰ-აბასი მათგან სარწმუნოების შეცვლას მოითხოვდა. უარის მიღების შემდეგ ისინი სასტიკად აწამა. ჯერ ქსნის ერისთავებს მოკვეთეს თავები. წმ. ბიძინა ჩოლოყაშვილი კი ჯალათებმა ცოცხლად აკუწეს.

გადმოცემით, წმიდა მოწამეთა გვამებს ღამით ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა წმიდანთა ნეშტები ფარულად დაკრძალეს.

მოგვიანებით, შალვას მეუღლემ, ქეთევანმა და მისმა ძემ, დავითმა წმიდანთა ნეშტი სამშობლოში გადმოასვენებინეს. კახეთის მხსნელი გმირები პატივით და დიდებით იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში დაკრძალეს.

ქსნის ხეობელთა საამაყო წმინდანების ხსენების დღის სადღესასწაულოდ აღნიშვნა 1997 წლიდან მოდის. მაშინ იქ ვცხოვრობდით, ჩვენს სახლ-კარში... ომმა წეროვნისკენ გადმოგვისროლა, მაგრამ სადაც მივედით, იქაური ქუდი კი არ დავიხურეთ, ჩვენი ინტელექტი, გულისთქმა, ქსნისსეოზელთა გულღია და ლაღი ხასიათით გავაგრძელეთ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელსაც „ერისთავობა“ ვუწოდეთ... ეს დღე მათი წმინდანებად შერაცხვის და ხსენების დღეს დავამთხვიეთ. უფრო ადრე ქსნის ხეობელებს სხვა საზეიმო დღე გვქონდა. აღვნიშნავდით მეცხვარის დღეს. ქუდზე კაცი ვიკრიბებობოდით ახალგორის ცენტრში, პარკში. მთიდა მოაჭენებდნენ ლომგული ვაჟკაცები ცხენებს გამართულ დოღში. პარკში კი ჭიდაობა იმართებოდა და გამრჯვებულებს ჭედილას ჩუქნიდნენ მეცხვარეები. იყო ლხინი, მოწინვე მეცხვარეთა დაჯილდოება... გუშინდელ დღესავით მახსოვს, ყველას ხელში ფერადი,

საზეიმოდ გამოცემული ჩვენი რაიონული გაზეთი ეჭირა (სათაური კი კომუნისტურ-ლენინური ჰქონდა, სამწუხაროდ) და როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, როცა ყიზლარის საძოვრებზე ვეღარ მიჰყავდათ ქსნის ხეობელებს გამოსაზამთრებლად ცხვრის ფარები, როცა ეკონომიკა დასუსტდა, მეცხვარის დღეც წარსულს ჩაბარდა საბჭოთა კავშირივით...

წელს „თბილისობა“ დაემთხვა „ერისთავობას“ და სტუმრიანობაც არ იყო ფართო მასშტაბის. დილით წეროვნის დევნილთა დასახლების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მოსახსენიებელი პარაკლისი ჩატარდა, შემდეგ კი გაიმართა ზეიმი, სადაც კიდევ ერთხელ ვიხილეთ ახალგორელთა ნიჭის, ფართო შესაძლებლობის, საუკეთესო ახალგაზრდების ხელოვნების ზეიმი.'

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა და ეს დღე მიულოცა ახალგორის მუნიციპლიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა.

„სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით ახალგორის მოსახლეობას გილოცავთ შალვა და ელიზბარ

ქსნისსეობელთა მფარველი წმინდანები — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

სახალხო ზეიმი წეროვნის დევნილთა დასახლებაში

me-3 gverdidan

ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეს. მათთვის სიცოცხლეზე ძვირფასი სამშობლოზე ზრუნვა, საქართველოს გაერთიანება და მტრებისგან გათავისუფლება იყო.

გისურვებთ უმოკლეს დროში ჩვენი მამა-პაპის ნაფუძვრებზე დაბრუნებას, საქართველოს გაერთიანებას, ოჯახების კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, მშვიდობას და ყოველივე საუკეთესოს". — აღნიშნა მან.

„ერისთავობას" ესწრებოდა და მონაწილეები დალოცა ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსმა მეუფე ისაიამ.

შემდეგ კი, როგორც დაგეგმილი იყო, ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. „ლომისის" სიმღერები, რამდენ წელსაც გინდა ატკბობდეს ჩვენს სმენას, მაინც არ მოგვწყინდება და არ მოგვბეზრდება... ანსამბლი, რომელსაც შალვა ილურიძე ხელმძღვანელობს, ძველი და ახალი რეპერტუარით წარსდგა ამ სახალხო ზეიმზე. მათ არც სხვა ხალხური თუ კლასიკური ცეკვების ანსამბლები ჩამორჩნენ.

ბიუჯეტი – 2023

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის პრიორიტეტები გამოაქვეყნა

• 2023 წელს, დაიწყება 500-ზე მეტი საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რისთვისაც ბიუჯეტში 300 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

• თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება ჯამურად - 490 მილიონი ლარით გაიზრდება. შედეგად, 20%-ით გაიზრდება პოლიციელების, ჯარისკაცების და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ხელფასები, გაგრძელდება ინფრასტრუქტურული და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პროექტები.

• გაიზრდება საჯარო სკოლების პედაგოგთა, ადმინისტრაციის და მანდატურთა, საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასები, ასევე პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურება.

• 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია (მაღალმთიან დასახლებებში) გაიზრდება 440 ლარამდე;
• 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია გაიზრდება 365 ლარამდე;
• 70 წლამდე ასაკის პენსიონერთა პენსია (მაღალმთიან დასახლებებში) გაიზრდება 355 ლარამდე;
• 70 წლამდე ასაკის პენსიონერთა პენსია გაიზრდება 300 ლარამდე.

• მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა სოციალური გასაცემლის ზრდა გათვალისწინებულია 65 ლარით, ასევე დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემელიც გაიზრდება.

• ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყოფა 6 მილიარდ ლარზე მეტი. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების გაუმჯობესების, გაზიფიცირების პროექტები.

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით მილიარდ 700 მილიონზე მეტი დაიხარჯება, ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მილიარდ 200 მილიონი მოხმარდება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის 2 მილიარდ 100 მილიონი ლარია გამოყოფილი, ხოლო წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებაზე 520 მილიონი ლარი დაიხარჯება.

• სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა მიმართულებებისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის, მათ შორის, პროგრამისთვის "აწარმოე საქართველოში" 900 მილიონ ლარამდე თანხა გამოიყოფა.

• დევნილი ოჯახებისთვის, 7000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა იწყება, რისთვისაც, 2023 წლის ბიუჯეტში 250 მილიონი ლარი გამოიყოფა.

• საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები კიდევ 10%-ით გაიზრდება.

იას სამსახურმა ხალისი დაუბრუნა

ახალგორელი ია ქოქაშვილი სამი შვილის დედაა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. 23 წელია ეტლით მოსარგებლეა და შშმ პირის სტატუსით სარგებლობს.

ახალგორელებს ახსოვთ ულამაზესი ახალგაზრდა ქალის უმძიმესი ავარია... ია მაშინ ახალგათხოვილი იყო... ბევრი რთული ოპერაცია ჩაუტარდა წლების მანძილზე. მიუხედავად მკურნალობისა და რეაბილიტაციის სიმძიმისა, იას ფარ-ხმალი არ დაუყრია, დიდი ხანია, ცდილობს დასაქმდეს და ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი, რომელიც მისი ოჯახისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლებისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ჩართულობით, საზოგადოება „ბილიკისა" და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის თანამშრომლობით, ია დასაქმდა და ის წეროვნის ბიბლიოთეკის სამკითხველოს თანამშრომელია.

იას თანამშრომლები თბილად შეხვდნენ, მხარში დაუდგნენ... იაც კმაყოფილია, რადგანაც თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად გრძნობს და ამასთან, საკუთარი შემოსავალიც ექნება.

დასაქმების პარალელურად, ია კვლავ ისარგებლებს, როგორც დევნილის, შშმ პირის, ასევე, სოციალური შემწეობის დახმარებით.

სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს, როგორც სოციალურად დაუცველების, ასევე, დევნილებისა და შშმ პირების დასაქმებას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საზოგადოებრივ სამუშაოებში უკვე 50-მდე შშმ პირი ჩაერთო.

ირაკლი ღარიბაშვილი: წლის ბოლომდე ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას ველოდებით“

pirveli gverdidan

ამ რესურსს სჭირდება მაქსიმალურად გონივრულად გამოყენება და ათვისება. ესაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და სწორედ ამ მიმართულებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ვიმუშავეთ აქტიურად“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მეორე საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო, ეს არის ჩვენი დაპირება. მოგეხსენებათ, რომ მით უმეტეს ამ ომმა, რაც მიმდინარეობს უკრაინაში, და კრიზისმა გამოაჩინა კიდევ ერთხელ სირთულეები, რომლებიც ქვეყნებსა და სახელმწიფოებს აქვთ, - ესაა ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა. საქართველოს, რა თქმა უნდა, გააჩნია საკმაოდ დიდი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდრორესურსები, ამიტომ, ამ რესურსს სჭირდება მაქსიმალურად გონივრულად გამოყენება და ათვისება. ესაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და სწორედ ამ მიმართულებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ვიმუშავეთ აქტიურად. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდთანაც და მათთან ეს სქემა, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, შეიძლება ითქვას, რომ არის შეთანხმებული, გავლილი და ამას სულ რამდენიმე დღეში უკვე ოფიციალური სახე მიეცემა. ესე იგი, ჩვენ რას ვგულისხმობთ ახალი შეთავაზებით, ახალი სქემით, - მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლები, ეგრეთ წოდებული გარანტირებული შესყიდვის სქემა იყო შერჩერებული და ამ მიმართულებით დაახლოებით 800 მგვტ-მდე ჰესებზე არის გაცემული მემორანდუმები. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთმა დაიწყო მშენებლობაც, ეს კონტრაქტები არ არის გაფორმებული. ეს ერთი საკითხი, მეორე საკითხი, - ბუნდოვანი იყო, ასე ვთქვათ, ახალი პროექტების ბედიც და, ზოგადად, ინვესტორებს სჭირდებოდათ მეტი სიცხადე. ამიტომ, ახალი სქემა არის შემდეგი - სახელმწიფოს მხრიდან ელექტროსადგურის ოპერირებაში, გაშვებიდან 15 წლის განმავლობაში, ფასთაშორის სხვაობის ეგრეთ წოდებული ცფდ-ი ხელშეკრულებით, ენერგეტიკული პროექტების მხარდაჭერას გულისხმობს სქემა, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ ინვესტორებს. მხარდაჭერის ახალი სქემა მოიცავს აუქციონის წესით მომდევნო სამი წლის განმავლობაში ჯამში 1 500 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას. ამაში არ შედის, რა თქმა უნდა, ის 800 მგვტ, რომელზეც მე ვთქვი უკვე და ასევე არ შედის დიდი პროექტები, როგორიცაა „ნამახვანი“, „ნენსკრა“ და „ხუდონი“.

ანუ ჯამურად მხოლოდ ამ 1 500 მგვტ-ის სიმძლავრის მშენებლობის ხელშეწყობით, დაახლოებით 2.2 მლრდ ამერიკული დოლარის ინვესტიციას ველოდებით. ამას დაემატება 800 მგვტ-ის პროექტები და კიდევ ის მსხვილი პროექტები, რომლებზეც უკვე დამატებით ცალკე ვიმსჯელებთ. მინიმუმ, შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში, იმ დათქმით, რომ ყველა ეს პროექტი იქნება გაფორმებული და გაშვებული, მინიმუმ 3 მლრდ დოლარის ინვესტიციას ველოდებით ენერგეტიკის სექტორში. ესაა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ჩვენ შემოგვაქვს სიცხადე, მეორე, მხრივ კი ვაცხადებ, რომ ესაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და, რა თქმა უნდა, ინვესტორებს ექნებათ მაქსიმალური მხარდაჭერა. ასევე მინდა ვთქვა, რომ, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ჩვენ გვაქვს ეკონომიკის ორნიშნა ზრდა, 10 პროცენტით ვზრდით უკვე ბოლო ორი წელია, გენერაცია ვერ ეწევა ზრდას, ბუნებრივია, ეს მოხმარება იზრდება და ეს ყველაფერი წარმოშობს სირთულეებს უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში. თუ ჩვენ არ დავაწიეთ ახალი ჰესების მშენებლობა, ესაა უაღრესად მნიშვნელოვანი, ძვირფასო მეგობრებო, და მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს რაციონალურად, გონივრულად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელიც ქვეყანას გააჩნია, მით უმეტეს, რომ ეს არის განახლებადი ენერგია, სუფთა ენერგია, ეკოლოგიურად სუფთა, რომ იტყვიან, და ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება მეტი მხარდაჭერა,“ - განაცხადა პრემიერმა.

ბოლო საკითხი, რაზეც მინდა საზოგადოებას ვუთხრა, ესაა თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა... გადავწყვიტეთ, რომ წავახალისოთ და ხელი შევუწყოთ ამ სექტორში მომუშავე ფერმერებს და ფიზიკურ პირებს, დავეხმაროთ მაქსიმალურად...პროგრამა ითვალისწინებს თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობას, თხილის მოვლა/მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით. ამისთვის პირველ ეტაპზე გამოვყოფთ 20 მლნ ლარს, დაახლოებით... ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართულია ამ სექტორში, ისე როგორც ვეხმარებით რთველს, ყურძნის წარმოებას და ა.შ. მინდა ვთქვა ასევე, რომ რთველი წარმატებით დასრულდა, დაახლოებით 250 მლნ ლარი შევიდა, რომ იტყვიან, კახეთის რეგიონში და მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ოთარ შამუგიას, მან წარმატებით ჩაატარა რთველი და ყველა იმ უწყებას, რომელიც ჩართული იყო ამ პროცესში,“ - განაცხადა პრემიერმა.

დავით ახლოურმა ლიტერატურულ კონკურსში პირველი პრემია მოიპოვა

pirveli gverdidan

ღონისძიების დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად სოფელ რუსთავში შოთა რუსთაველის ძეგლი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა გაყიდვა, სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ჭიდაობასა და საჯილდაო ქვის აზიდვაში. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

პოეზიის სახალხო დღესასწაულზე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ პოეტ დავით ახლოურს გადაეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500) ლარი. მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას შოთა რუსთაველს.

„საახალწლოდ უკვე ვემზადები“

„საახალწლოდ უკვე ვემზადები“, – გვითხრა ოქროსხელება, დიდი ფანტაზიის და შემოქმედების მხატვარ-დეკორატორმა ნანა ბურდიაშვილმა. ნიჭიერი შემოქმედი მუდამ ახლის ძიებაშია, ყოველი ახალი გამოფენა განსაცვიფრებლად ლამაზია და ზღაპრული ხიბლი აქვს...

ნანამ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა, ხატვის უმშვენიერეს ხელოვნებას კი ბავშვობიდან ეზიარა, შემდეგ სხვადასხვა ნივთების მომზადება დაიწყო, რასაც ხალისით, შთაგონებით ასწავლის ამ საქმით დაინტერესებულ ბავშვებსაც წეროვნის ახალგაზრდულ სახლში (დირექტორი ნანა ჩქარეული). ნანას და მისი მოსწავლეების ნამუშევრები ხშირად ამშვენებს სხვადასხვა გამოფენას.

dasasruli me-12 gverdze

„ქსნის ხეობის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრის გვერდზე ფეისბუქში გამოქვეყნდა წერილი დავით ახლოურის წიგნიდან „ქსნის ხეობის ისტორია“.

ბაშარულის სიყვარული

„სიყვარული არა კვდება, ნონორე”

სიგელი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, 1798 წლის 14 აპრილით თარიღდება. იგი იმ ისტორიულ საბუთებს შორის იყო, რომელიც ვახტანგ ივანეს ძე ფიცხელაურის დედას, ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის შეუწირავს.

იოანე ბატონიშვილის განაჩენი აბრამ ბაშარულის მიერ გოგოს მოტაცებისა და ცოლად შერთვის ამბავს უკავშირდება.

იოანე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი იყო, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი... როგორც ცნობილია, კრწანისის ბრძოლის დროს, თანამებრძოლებთან ერთად, მტრის ალყაში მოქცეული სახელოვანი პაპა - ერეკლე მეორე ტყვეობისგან იხსნა, რითაც საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო... როცა ქსნის საერისთავო გაუქმდა, ერეკლემ ერისთავთა მამულები უფლისწულებს უსახსოვრა, გიორგის - ქსნის ხეობა, იულონს - ლიახვის ხეობა. გიორგიმ კი, კუთვნილი ხეობიდან ქსნის, საფერშეთის, ალევის, ცხრაზმის, ჭურთის, ქარჩოხისა და ჟამურის ხეობები იოანეს გადასცა.

1798 წლის სიგელიდან ჩანს, რომ იოანესთან „როჭიკაშვილის ნაზარის სახლობამ თინათინმა იჩივლა, რომ ჩემის სიძის ფიცხელაურის მსახურმა ბაშარულმა აბრამამ ჩემი გაზრდილი მხლებელი მომტაცაო და ცოლად შეირთოო“. რადგან ბაშარულს ქალი მისი პატრონის უკითხავად, „მოპარვით“ ჰყავდა მოტაცებული, მისგან ითხოვდნენ როჭიკაშვილისთვის ოცდაოთხი თუმანი გადაეხადა ან თვითონაც მისი ყმა გამხდარიყო.

წერილის თავში 1799 წლით დათარიღებული გიორგი XII-ის ხელწერაა: „ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ სამართალს ვამტკიცებთ და, ხერხეულიძე ეშიკაღაბაშო გიორგი, ეს ასე უნდა აღასრულო. ოკდონბრის ით“.

1800 წლის 26 ივლისს აშიაზე იოანეს მიუწერია: „ამ განჩინებას ესრეთ ვამტკიცებთ, რომ ბაშალურმა აბრამამ თეთრი ვერ უშოვნა და დარჩა ყმად როჭიკაშვილის გლახა ნაზირის სახლობას თინათინსო“.

წარწერა სიგელის მეორე გვერდზეცაა, იგი ნაზირ შალიკოვს ეკუთვნის და 1800 წლის 25 აგვისტოთი თარიღება. შალიკოვი იგივე შალიკაშვილია, რომელიც მსხვილი ფეოდალური საგვარეულო სახლის წარმომადგენელი იყო, მათი ძირი გვარი როჭიკაშვილი გახლდათ... ნაზირის წარწერა ადასტურებს, რომ აბრამ ბაშარული მათ სისხლში ერგოთ და განაჩენის სამართლით „თავიანთ ქალს“ სოფიოს მზითვად გადასცეს. „ეს ბაშალური აბრამა თავისის ცოლ-შვილით ისე მიგვიცია, რომ თუნდა გაყიდოს, თუნდა მზითვად მისცეს. სოფიოს მეტს ხელი არავისა აქვსო“.

რა თქმა უნდა, აბრამ ბაშარულს მშვენივრად ეცოდინებოდა, რა მოჰყვებოდა მის ნაბიჯს, როცა ქალს იტაცებდა, ალბათ, იმიტომაც მოიტაცა, რომ სათანადო გამოსასყიდი თანხა არ ჰქონდა, მაგრამ ჰქონია დიდი გული და ჰყვარებია ნამდვილი სიყვარულით, ისე, რომ მზად ყოფილა ფიცხელაურის მსახურობა როჭიკაშვილების ყმობაზე გაეცვალა. მსახური შეძლებულ გლეხს უტოლდებოდა, მას მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობისა და თავადის კარზე სამსახური უნდა გაეწია...

ფიცხელაურების სამკვიდრო იკოთი იყო, ბაშარულიც იკოთიდან უნდა ყოფილიყო. იკოთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი კი შედარებით პრივილეგირებულ გლეხთა კატეგორიიდან გახლდათ. ჩანს, აბრამმა საყვარელი ქალისთვის ყველანაირი პრივილეგია დათმო.

„სიყვარული არა კვდება, ნინორე“... ეს სიტყვები მახსენდება ახლა გოგლა ლეონიძის ერთ-ერთი გმირის მონოლოგიდან და მეც ათასჯერ ვიმეორებ უკვე: სიყვარული არა კვდება... ორ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ დროიდან, მაგრამ ბედისწერამ ალბათ ასე ინება, რომ აბრამ ბაშარულის სიყვარულს ჩვენამდე მოეღწია.

35 წელი ბავშვებთან

ახალგორის ბაგა-ბაღის მენეჯერის მოადგილე მაია წიპტაური 35 წელიწადია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობს... 20 წლის იყო, იკოთის საბავშვო ბაგა-ბაღის კარი როცა შეაღო ახალდამწყებმა მასწავლებელმა, ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო...

– ისტორიის ფაკულტეტზე ვაბარებდი, მაგრამ... შემდეგ სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტი ავირჩიე და არც ვნანობ... ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და კიდევ 35 წელიწადი თუ ვიმუშავებ, კმაყოფილი და ბედნიერი ვიქნები (იღიმის)...

– არ მოგბეზრდა ერთი და იგივე საქმე, ახალგაზრდობიდან მოყოლებული?.. – სულ ჟრიამულში ხარ, თანაც უდიდესი პასუხისმგებლობა... უფრთხილდები ბავშვის სულს, ხასიათს, ჩვევებს უყალიბებ, დაწესებულებაში მშობლიურ გარემოს უქმნი, ხალისიანს, სიხარულით სავსეს...

– კი ასეა, ეს ჟრიამული, ჯერ ერთი, ძალიან სასიამოვნოა, რას სჯობს მათ ღიმილს, უმანკოებას, სიყვარულს უანგაროს...

– რა თვისებები, როგორი განწყობა უნდა ჰქონდეს აღმზრდელს, ათეული წლები რომ შეძლოს წარმატებულად იმუშაოს ასეთ პატარებთან?

– უპირველესად, ბავშვების სიყვარული, რაც აძლიერებს პროფესიისადმი სიყვარულს და პასუხისმგებლობას. პროფესიონალიზმსაც დიდი მნიშვნელობა აქვს... დროს ბევრი ახალი გამოწვევა მოაქვს, აღმზრდელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, ბევრი რამ იცვლება განათლების სფეროში, ქვეყანაში, ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში, სიახლეს წარმატებულად უნდა შევხვდეთ, მშობლებთანაც კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, თითოეული პატარა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს... ჩვენ უნდა შევძლოთ ბავშვის განვითარების და აქტიურობისათვის ისეთი ზრუნვა და დამოკიდებულება, რომ თავი დამცირებულად არ იგრძნოს თანატოლების წინაშე, ჩაებას საგაკვეთილო პროცესში, განუვითარდეს ხატვის, ძერწვის, აპლიკაციების დამზადებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, იმღეროს, იცეკვოს, ითამაშოს... თანატოლების სიყვარული და პატივისცემა, მოსმენა ისწავლოს, თავისუფლება იგრძნოს.

ჩემი ბავშვობა, ჩემი შვილების ბავშვობა და შვილიშვილების ბავშვობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან...

– როცა შენ ასე პატარა იყავი?

– მე ქსნის ხეობის ულამაზეს სოფელში ალევში გავიზარდე, მაშინ არც სოცალური ქსელი არ იყო და ტელევიზორიც არ ჰქონდა ყველა ოჯახს, მაგრამ იმ დროის ბავშვები წიგნებზე ვიყავით მიჯაჭვულები...

– როგორც ახლა მობილურსა დაკომპიუტერზე არიან მიჯაჭვულები...

maia Svili-SvilebTan _ sesilisa da vaCesTan erTad

– დიახ, თითქმის. რასაც ვკითხულობდით, ერთმანეთს ვუზიარებდით, წიგნებს ვათხოვებდით... ყოველ სოფელში ბიბლიოთეკა გვქონდა, იქაც დავდიოდით. ერთმანეთთან უფრო მეტ დროს ვატარებდით, ბუნების წიაღში ვთამაშობდით, საოჯახო საქმეებშიც ვეხმარებოდით მშობლებს, მაგალითად – ფრინველის, პირუტყვის მოვლაში...

მე იმის თქმა არ მინდა, რომ დღევანდელ პირობებს ჩემი ბავშვობის დროინდელი სჯობდა, დღეს ძალიან განვითარებული და ინფორმირებულია პატარაობიდანვე ყველა, თითქმის ყველას მიუწვდება ხელი და თვალი სოციალურ ქსელზე, ზოგიერთს მოთხოვნილებადაც ექცა, ყოველ წუთს მობილურს უყუროს, რაც მავნეც კია და მშობელმა ეს უნდა გაითვალისწინოს აუცილებლად... ექიმიც ამას გვირჩევს, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში არ შეიძლება ბავშვი მობილურით იყოს დაკავებული...

– იკოთის საბავშვო ბაგა-ბაღი ახსენეთ...

– კი, იქ დავიწყე პირველად მუშაობა... მაშინ სამი ბედნიერება მედო ხელისგულზე: ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი, ახალგორი არ იყო ოკუპირებული და ძალიან ახალგაზრდა ვიყავი...

– როგორ დაიწყეთ ახალი სასწავლო წელი, მით უმეტეს, ახლა, როცა საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ და თქვენ, მის მოადგილეს დაგეკისრათ მოვალეობის შესრულება...

– სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან ვღელავდი. 15 სექტემბერს დავიწყეთ ახალი სასწავლო წელი და მანამდე მთლიანად მოვიმარაგეთ სამეურნეო საქონელი, დავაწკრიალეთ შენობის ყველა კუთხე-კუნჭული, ეზო. მოვიმარაგეთ საკვები პროდუქტები, საკანცელარიო მასალა და 15-ში 282 ბავშვი მივიღეთ... 80-ზე მეტი ახალი ბავშვია, ივნისში სკოლაში, პირველი კლასისაკენ გავაცილეთ 86 პატარა...

13 სააღმზრდელო ჯგუფი გვაქვს, 26 აღმზრდელი და 2 მეთოდისტი ემსახურება ამ ჯგუფების ბავშვებს, 50-ზე მეტი ტექნიკური თანამშრომელი, ექიმი, ფსიქოლოგი, ძიძები, მზარეულები, დაცვის მუშაკები...

– თითქოს მეცოტავა ეს ციფრი – 282...

– შარშან კიდევ უფრო ცოტა გვყავდა – 273. მაგრამ წინა წლებში გვყავდა 620, 580... სამწუხაროდ, ეს კლება მარტო ჩვენს დაწესებულებაში არ არის. ეს მთლიანად საქართველოს დემოგრაფიული პროცესის

შედეგია... მე ჩემს კოლეგებსაც ვეკითხები სხვა რაიონებში და იგივე მდგომარეობაა. ბევრი ოჯახი საზღვარგარეთ მიდის საცხოვრებლად, შობადობის შემცირებაც საგულისხმო ფაქტია...

– შენ რამდენი შვილი გყავს? მიამბე მათზეც...

– სამი მყავს. ოჯახი სიყვარულით შევქმენით მე და გია ჯამრიშვილმა. გვყავს ია, თეა და ლაშა... ია ფსიქოლოგია და ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობს, თეამ თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრა, წეროვნის ახალგაზრდულ სახლში თოჯინების თეატრი აქვს და ბავშვებს ამ ლამაზ ხელოვნებას ასწავლის. ლაშა ჩვენი სამოთხე საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს აცნობს ქვეყნის სტუმრებს, ტურიზმის სფეროში მუშაობს... 5 შვილიშვილიც მყავს...

– მაია, რა არ მოგწონს?

– ანჩხლი ადამიანები, სულ ჩხუბის ხასიათზე რომ არიან და ყველაფერზე შეუძლიათ კამათი, ეგ არ მომწონს.

– რა გიყვარს?

– ჩემს შვილებთან, შვილიშვილებთან ყოფნა, ჩემი ოჯახი მართლაც ჩემი ციხე-სიმაგრეა.

– რას ნატრობ?

– ყველა ახალგორელის ნატვრა ერთია: საქართველოს გამთლიანება და ჩვენს სახლებში დაბრუნება...

– შენი ოჯახის წევრები არის ვინმე დღეს ახალგორში?

– კი, ჩემი და – მზია წიპტაური. კორინთის სკოლაში მასწავლებელია... იქაც ძალიან შემცირდა ბავშვების რაოდენობა.

– რას ნანობ?

– ასე უცებ არაფერი მახსენდება.

– რის გეშინია?

– რის გამოსწორებაც არ შემიძლია, რაც ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება... ომის მეშინია...

– რას მალავ?

– საერთოდ გულგახსნილი ადამიანი ვარ, მაგრამ თუ ვინმემ საიდუმლო გამანდო, რომ იტყვიან, სამარე ვარ...

– ახლახან თბილისიდან თოჯინების თეატრი გეწვიათ...

– დიახ, ძალიან გაიხარეს ბავშვებმა. თეატრის ხელმძღვანელია მსახიობი ნაირა ჯავახიშვილი.

dasasruli me-12 gverdze

მე მიყვარს ჩემი პროფესია! მე მასწავლებელი ვარ!

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელ ინგა ხალიბეგაშვილს მენტორი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. ამის შესახებ ინგამ ემოციური პოსტი დადო ფეისბუქში, სადაც ვკითხულობთ:

„სტატუსი – მენტორი...

ზღვა ემოცია... სასიამოვნო განცდა და უდიდესი პასუხისმგებლობა...

დიდი მადლობა ყველას – ჩემი სკოლის დირექციას, კოლეგებს, მეგობრებს, მშობლებს, ოჯახს, გულშემატკივრებს, მცხეთის რესურსცენტრს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მასწავლებლის სახლს. მადლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და კომისიას, რომელმაც შეაფასა, დააფასა ჩემი საქმიანობა და განსაკუთრებული ღვაწლისთვის მომანიჭა მენტორის სტატუსი.

განსაკუთრებული მადლობა თქვენ, ჩემო პატარა მეგობრებო. თქვენ ხართ ჩემი სკოლაში ყოფნის მიზეზი და შესაბამისად, ჩემი წარმატებაც თქვენი დამსახურებაა... მიყვარხართ! მაბედნიერებთ!

მე მიყვარს ჩემი პროფესია!!!

მე მასწავლებელი ვარ!!!“

ინგას პროფესიული წარმატება სოციალურ ქსელშივე მიულოცეს კოლეგებმა, მეგობრებმა. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ მან ეს ტიტული დამსახურებულად მიიღო. მართლაც, ახალი ამბავი არ არის, რომ ინგა ხალიბეგაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის შესანიშნავ პედკოლექტივში.

ვულოცავთ ინგას და მის სკოლას ამ აღიარებას!

ჭიანჭველა «გროვია»

gvesaubreba werovnis me-3 sajaro skolis maswavlebeli nana gigauri

28-29 ოქტომბერს წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მასწავლებელი ნანა გიგაური რესპუბლიკის სკოლების 15 მასწავლებლთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის და „ფინედუს“ ორგანიზებულ ტრენინგში სახელწოდებით „სკოლა ბანკი; ფინანსური განათლება ბავშვებისათვის“.

ტრენინგის ფარგლებში დაიფარა „სკოლა ბანკის“ სახელმძღვანელოთი დაფარული ყველა თემა და აქტიური სწავლების მეთოდები.

ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები თავიაანთ კლასებში ჩაატარებენ პროექტით გათვალისწინებულ 15 გაკვეთილს.

dasasruli me-11 gverdze

ზინა ფსუტურის ხსოვნას



არიან ადამიანები, რომელთაც იციან თავისი საქმიანობის უსაზღვრო სიყვარული. სწორედ ასეთი იყო ზინა მასწავლებელი. იგი სოფელ იკოთში, ულამაზეს გიგარაანთ უბანში დაიბადა და გაიზარდა, ცირახევისა და ბუნელის პირას გაატარა თავისი ბავშვობა, მუდამ ინტერესით უყურებდა ალიანთ წყაროსთან მდგარ უცნაურ ჭადრის ხეს, რომლის წლოვანებაც არავინ იცოდა...

იკოთში იპოვა გულისსწორიც, იაშა გიგაურს დაუკავშირა თავისი ბედი და ორი ვაჟკაციც აჩუქა – ედგარ და ელდარ გიგაურები.

ოჯახი, სკოლა, ბავშვები იყო ზინა მასწავლებლის უპირველესი საზრუნავი. ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა სკოლაში და შემიძლია ვთქვა, რომ ის იყო თავისი ნორჩი აღსაზრდელების სულის მჭედელი, ყურადღების, თანადგომის, თანაგრძნობის და ურთიერთსიყვარულის მასწავლებელი, ამასთან, კარგი ოჯახის დიასახლისი, საუკეთესო დედა, მეუღლე, ბებია...

ზინა მასწავლებლის მეუღლე იაშა გიგაური მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე იყო და საკმაოდ რთული გზა ჰქონდა გავლილი. ერთხელაც მეუღლეს გამოუტყდა, რომ ლიტველ ქალბატონთან ტყუპი ვაჟები შეეძინა, რომელთაგან ერთი, ნამდვილად იცოდა რომ გარდაიცვალა, მეორის შესახებ კი არაფერი იცოდა.

მაშინ ძნელი იყო ინფორმაციის მოპოვება, რადგან ტექნოლოგიები ასე არ იყო განვითარებული, მაგრამ ქალბატონმა ზინამ მიზნად დაისახა იმ ბავშვის მოძებნა და მართლაც იპოვა პაპის მოსახელე ვასილი. მაშინ მთელი სოფელი იზიარებდა იაშა გიგაურის ოჯახის ამ სიხარულს.

ვასილი მშობლიურ სოფელში მოიწვიეს და ქორწილიც ქართულად გადაუხადეს. მე ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე ვარ და მახსოვს, რა საოცარი იყო მამა-შვილის შეხვედრა ამდენი წლის შემდეგ.

ქალბატონი ზინას დიდბუნებოვნების აღსანიშნად მხოლოდ ეს ფაქტიც იკმარებდა. ქალისთვის რთულია, გაიგოს, რომ მის მეუღლეს სხვა ქალთანაც ჰყავდა შვილები, თუმცა, ქალბატონმა ზინამ მეუღლის აღსარებას სიყვარულით და თანაგრძნობით უპასუხა, მამა-შვილი ერთმანეთს შეახვედრა და შემდეგშიც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ...

ცალკე ხაზგასასმელია ის არაჩვეულებრივი ცოლ-ქმრობა, ნამდვილი მეუღლეობა, რაც აკავშირებდათ ზინა ფსუტურსა და იაშა გიგაურს. ბატონმა იაშამ მეუღლეს მთლად სასახლე ვერა, მაგრამ ცალკე ფლიგელი კი აუშენა, სადაც ზინა მასწავლებელს არაჩვეულებრივი კაბინეტ-ბიბლიოთეკა ჰქონდა მოწყობილი. წიგნის უსაზღვროდ მოყვარული და წიგნიერების მოტრფიალე ზინა მასწავლებლის ბიბლიოთეკაში დღეს შეიძლება ისეთი ნივთებიც ინახებოდეს, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას რომ წარმოადგენს. ფაქტობრივად, მან გარკვეული არქივი შექმნა და იმედი მაქვს, იგი არ დაიკარგება... ეს ბიბლიოთეკა დღესაც იკოთშია, მის სახლში.

ზინა მასწავლებლის დამახასიათებელი თვისება იყო ყურადღება – კოლეგების თუ მოსწავლეების მიმართ. მახსოვს, მასწავლებელთა საკავშირო ყრილობიდან დაბრუნებულს მისი ინიციატივით სკოლაში საზეიმო დახვედრა მომიწყეს. არ გამორჩებოდა მნიშვნელოვანი თარიღი ან მოვლენა, რომ გარშემო მყოფები გაეხარებინა, პატივისცემა გამოეხატა.

სიცოცხლის ბოლო წლები ზინა მასწავლებელმა დევნილობაში, წეროვნის დასახლებაში გაატარა. ყურადღებას არ აკლებდნენ რძლები – ციცო შიუკაშვილი და ციალა ოღაძე, შვილიშვილები, რომელთაგან ოთხი – იაგო, ნინო, ვასილი და იაშა ემიგრანტები არიან. მხოლოდ ვასილმა შეძლო ბებოს გასაცილებლად ჩამოსვლა, ეთო და ზინიკო კი ხშირად ნახულობდნენ სახელოვან ბებოს, რომელმაც ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. ბევრი ტკივილიც გადაიტანა ზინა მასწავლებელმა, – ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაეცვალა მეუღლე - იაშა, ძმა ნუგზარ ფსუტური, შვილი ედგარი, ძმისშვილები – გია, თამაზ და ზურაბ ფსუტურები...

18 ოქტომბერს ჰქონდა ზინა მასწავლებელს დაბადების დღე. ეს ფოტო შარშან, მის დაბადების

სხედან: ძმა შოთა ფსუტური, ზინა ფსუტური, მედიკო გოლოევი. დგანან, მარჯვნიდან: მაია გაბრიელაშვილი, თამარ გიგაური, რძალი ციცო შიუკაშვილი და შვილიშვილი ეთუნა გიგაური

დღეზეა გადაღებული, წელს კი, როცა სვეტიცხოვლის დიდებულმა ზარებმა ჩამოჰკრა სადღესასწაულოდ, ზინა მასწავლებლის სული ანგელოზთა გალობით შეუერთდა ზეცას... ესეც იშვიათი ადამიანების ხვედრია: ჯერ იცოცხლო ლამის საუკუნე და მერე... წახვიდე ასეთი ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს...

მშვიდად განისვენეთ, ქალბატონო ზინა!

თქვენ ღირსეული შთამომავლობა და უამრავი კეთილი საქმე დატოვეთ.

პატივისცემით,
თამარ გიგაური

ჩემი პირველი მასწავლებელი

პირველი მასწავლებელი ყველა ბავშვისათვის განსაკუთრებული და საყვარელია. პირველ კლასში ჯერ კიდევ იკოთის სკოლის ძველ შენობაში შევედი. ზინა მასწავლებელმა მიმიღო, დედაშვილურიად, სითბოთი, კეთილშობილებით, ყურადღებით, მზრუნველობით. ასე გაგრძელდა 4 წელიწადი... სწორედ ეს 4 წელიწადი ბავშვობის ულამაზესი და განუმეორებელი ხანა – მის გვერდით გავატარე. ჩვენი საკლასო ოთახი ყვავილნარს ჰგავდა, ძალიან უყვარდა ყვავილები და ჩვენც შეგვაჩვია მათ სიყვარულს და მოვლას... ერთმანეთისადმი პატივისცემა, გაფრთხილება, ზრუნვა მისგან ვისწავლეთ. მეცადინეობის, შრომის, სისუფთავის სიყვარული, უფროს-უმცროსობის გარჩევა, ოჯახის წევრებისა და გარშემომყოფთა პატივისცემა, სამართლიანობა, მეგობრისათვის უანგაროდ ხელის გაწვდა და გვერდით დგომაც მან გვასწავლა.

ზინა ფსუტური ღრმად მოხუცი გახლდათ, როცა ეს სამზეო დატოვა.

მან უამრავი თაობა გაზარდა, დღეს რომ გულწრფელი ცრემლით გააცილეს სამუდამო სასუფეველში ახლობლებთან, თანასოფლელებთან, ფსუტურების დიდ საგვარეულოსთან ერთად.

ზინა მასწავლებლის ხსოვნა მარადიულია. ასეთი ადამიანების ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა, მით უმეტეს, ზინა მასწავლებლის საქმეები იმდენად მაღალზნეობრივი და სიკეთით სავსეა სკოლის ცხოვრების იქითაც, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია...

ანიტა გვრიტიშვილი

იკოთის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

ზინა ფსუტურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ღვაწლმოსილი პედაგოგის

ზინა ფსუტურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს გოგიტა მწითურს მამის

გელა მწითურის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები ახალგორის დოლიაანთ უბნიდან სამძიმარს უცხადებენ თამრიკო სიდამონიძეს, გოგიტა და გიული მწითურებს მეუღლისა და მამის

გელა მწითურის

გარდაცვალების გამო.

ჭიანჭველა «გროვია»

me-9 gverdidan

მსოფლიო დაზოგვის დღე" მრავალ ქვეყანაში ყოველწლიურად 31 ოქტომბერს აღნიშნება. მსოფლიო დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საქართველოში 2012 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკისა და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) ინიციატივით იმართება. დაზოგვის დღის ქართულ სიმბოლოა - ჭიანჭველა "გროვია".

წეროვნის N3 საჯარო სკოლის მე-7(1) და მე-8(2) კლასებიც შეუერთდნენ ამ პროექტს და რამდენიმე აქტივობაც განახორციელეს. კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაზოგის გაკეთებას უკეთესი მომავლისთვის.

რა არის დაზოგვა? – დაზოგვა სხვადასხვა, მათ შორის, ფინანსური რესურსის გარკვეული ნაწილის სამომავლოდ გადადებას ნიშნავს. ბავშვებს შეუძლიათ დაზოგონ ყველაფერი, რასაც ყოველდღიური საჭიროებებისთვის მოიხმარენ: მაგალითად, ენერგო, წყლის თუ სხვა რესურსები, ასევე, რა თქმა უნდა - ფული. ფულის დაზოგვა ნიშნავს, რომ შემოსავლებს სრულად კი არ ხარჯავენ, არამედ მის გარკვეულ ნანილს სამომავლო საჭიროებებისთვის ინახავენ. დაზოგილი თანხა კი მრავალი მიზნობრიობით შეიძლება გამოიყენონ, იქნება ეს სასურველი ნივთის შეძენა, დასვენება, სწავლა თუ სხვა.

ყველას მინდა ვუთხრა, რომ დანაზოგის გასაკეთებლად დღეისათვის მრავალი ალტერნატივა არსებობს. შეიძლება თანხა სახლში შეინახოთ ან ფინანსურ ორგანიზაციას მიმართოთ და მასზე დამატებითი სარგებელიც მიიღოთ. დაზოგვის პროცესში მნიშვნელოვანია, სწორად გააანალიზოთ მიზნები და ისე აირჩიოთ დაზოგვის თქვენთვის ხელსაყრელი მეთოდი.

35 წელი პატარებთან

me-9 gverdidan

წარმოგვიდგინეს სპექტაკლი „აბა, დელია, დელია“, მხიარული სპექტაკლი იყო...

– ახალი სასწავლო წელი დაიწყო, რას უსურვებ შენს პატარებს, კოლეგებს?

– აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი კოლეგები ყველაფერს აკეთებენ პატარების სრულყოფილი აღზრდისა და განათლებისათვის. ყველა ღონისძიებას ისეთი შემოქმედებით აწყობენ, ულამაზეს ზეიმს ჰგავს ხოლმე. ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს... მათ ვუსურვებ მშვიდობას, ოჯახების კეთილდღეობას და რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათთვის – პატარების სიყვარულს... ჩვენს აღსაზრდელებს კი უღრუბლო ცას ვუსურვებ, არასოდეს ენახოთ და გამოეცადოთ ომი, ობლობა...

«საახალწლოდ უკვე ვემზადები»

me-7 gverdidan

ახლახან ნანამ მონაწილეობა მიიღო დუშეთში გამართულ სახალხო დღესასწაულზე, რომელსაც „მთაბარობას“ ეძახიან...

ნანას ნამუშევრებმა, თბილისში Marriott Hotel -ში გამართულ წინასაახალწლო გამოფენაზეც მოხიბლა დამთვალიერებელი....

ასევე, ნანა ბურდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ორ პროექტში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ჰაბის და „აწარმოე საქართველოში“. ორივეგან მიიღო გრანტი. მათ ოქროსხელება ქალბატონს შესაძლებლობა მისცეს, აეშენებინა სახელოსნო, მოამარაგეს სამშენებლო მასალებით, შეუძინეს საკერავი მანქანა, ავეჯი სახელოსნოსათვის, ასევე ნედლეული და საჭირო მასალები ჩანთების, სუვენირების, სხვადასხვა საოჯახო და დეკორატიული ნივთების დასამზადებლად.

სახელოსნოში ხალისიანად სწავლობენ ძირითადად გოგონები ნიჭიერი ქალბატონისგან ხელსაქმეს, ხელნაკეთი ნივთების დამზადებას, ხატვას და სხვა.

როგორც ნანა ვარაუდობს, მისი მოწაფეებიც ინტერესით სწავლობენ თითოეული დეტალის დამზადებას და მალე სხვადასხვა გამოფენაზე მათ ნამუშევარსაც იხილავს დამთვალიერებელი.